

ONE EXAMPLE OF GEORGE THE ATHONITE'S ORIGINAL WORKS

გიორგი მთაწმიდელის ორიგინალური შემოქმედების ერთი ნიმუში

Lela Khachidze

Doctor of Philology,
Head of the Department of Georgian Language and Literature
at Tbilisi Theological Academy and Seminary,
Tbilisi, Sioni st., # 13/40, 0105, Georgia,
Associate Professor at Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, I. Chavchavadze Ave.1, 0179, Georgia,
+995599512939, lela.khachidze@tsu.ge
<https://orcid.org/0000-0003-4141-7825>

Abstract. George the Athonite's contribution to the Georgian Church and Georgian culture is mainly represented by numerous collections translated and edited by him. In these collections, along with Greek-language works translated by him, rarely, only in exceptional cases, he included hymns written by Georgian authors.

This work considers George the Athonite's original hymns which are dedicated to "Iodasaph the King of Indians". This is an entire hymnographic cycle – three hymns of small size and hymnographic canon. These hymns stand out for their artistic perfection and theological depth, as well as rare rhythmicity, which is also characteristic of George the Athonite's translations. These hymns often contain various testimonies from the Old and New Testaments, as well as evangelistic teachings discussed in the paper.

The hirmi of George the Athonite's hymnographic canon devoted to Iodasaph the Indian are included in the so-called "Irmologion with Neumes". In this collection, these hirmi are denoted by the term "utskhoni ("aliens").

In these hymns George the Athonite compares Iodasaph the Indian to John the Baptist, the prophets David and Elijah.

The fact that in these hymns Iodasaph the Indian is compared to the apostles deserves special attention. He is considered to have joined the "apostolic community". Saint Paul is recognized as the thirteenth Apostle in church tradition. In this hymn, "Iodasaph the King of Indians" is mentioned with the same honour.

In the hymns dedicated to Iodasaph the Indian his "confessor", "divine man" - Balavari (Barlaam) is also glorified.

George the Athonite's hymns are also important for the study of the text and origin of Byzantine "Story of Barlaam and Ioasaph", which has long been the subject of great interest of researchers of different generations.

Key words: Hymnography; George the Athonite; Menaion; Balavari; Iodasaph the Indian.

ლელა ხაჩიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე,
თბილისი, სიონის ქ. # 13/40, 0105, საქართველო
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, #1, 0179, საქართველო
+995 599 512939, lela.khachidze@tsu.ge
<https://orcid.org/0000-0003-4141-7825>

აბსტრაქტი. გიორგი მთაწმიდელის ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და ქართული კულტურის წინაშე ძირითადად მიერ თარგმნილ-რედაქტირებული მრავალრიცხოვანი კრებულებით წარმოგვიდგება. ამ კრებულებში, ბერძნულიდან თარგმნილ რეპერტუართან ერთად, მას იშვიათად შეჰქონდა ქართველ ავტორთა საგალობლებიც.

ნაშრომში განხილულია გიორგი მთაწმიდელის ორიგინალური საგალობლები, რომლებიც ეძღვნება „ჰინდოთა მეფე იოდასაფს“. ესაა მთელი ჰიმნოგრაფიული განგება - სამი მცირე ფორმის საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი. ეს საგალობლები გამოირჩევა მხატვრული სრულყოფით და თეოლოგიური სიღრმით, აგრეთვე იშვიათი რიტმულობით, რაც დამახასიათებელია გიორგი მთაწმიდელის თარგმანებისთვისაც. მათში ხშირადაა სხვადასხვა სახის დამოწმებები ძველი და ახალი აღთქმიდან, აგრეთვე სახარებისეული სწავლებები, რომლებიც განხილულია სტატიაში.

საინტერესოა გიორგი ათონელის იოდასაფისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონის რიტმულ - მელოდიური საზომები, რომლებიც შესულია ე.წ. „ნევირებულ ძლისპირნი“. ამ კრებულში ეს ძლისპირები აღნიშნულია ტერმინით „უცხონი“.

გიორგი მთაწმიდელის ამ საგალობლებში იოდასაფი შედარებულია იოანე ნათლისმცემელთან, დავით და ელია წინასწარმეტყველებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ამ საგალობლებში იოდასაფ ინდოელი თვით მოციქულებთანაა შედარებული. იგი მიჩნეულია „მწყობრსა მოციქულთასა შეერთებულად“. საეკლესიო ტრადიციაში მეცამეტე მოციქულად პავლე მოციქული მოიხსენიება. ამ საგალობელში ასეთივე პატივითაა მოხსენიებული „ჰინდოთა მეფე იოდასაფი“.

იოდასაფ ინდოელისადმი მიძღვნილ ამ საგალობლებში განდიდებულია მისი „განმსწავლელი“, „საღმრთო კაცი“ - ბალავარიც.

გიორგი მთაწმიდელის ეს საგალობლები მნიშვნელოვანია „ბალავარიანის“ ტექსტის და წარმომავლობის კვლევისათვისაც, რაც, დიდი ხანია, სხვადასხვა თაობის მეცნიერთა დიდი ინტერესის საგანია.

საკვანძო სიტყვები: ჰიმნოგრაფია; გიორგი მთაწმიდელი; თუენი; ბალავარი; იოდასაფ ინდოელი.

შესავალი. საქართველოს ეკლესიისა და ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენელს - გიორგი მთაწმიდელს მის მიერ შედგენილ მრავალრიცხოვან ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, ბერძნულიდან თარგმნილ რეპერტუართან ერთად, იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეჰქონდა ქართველ ავტორთა საგალობლებიც. ერთ-ერთი მათგანია „ჰინდოთა მეფე იოდასაფისადმი“

მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული განგება - სამი მცირე ფორმის საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი.

მნიშვნელოვანია თვით ფაქტი გიორგი მთაწმიდელის მიერ გამოჩენილი ასეთი ყურადღებისა „ბალავარიანის“ პერსონაჟისადმი.

საგალობლები გამოირჩევა თეოლოგიური და მხატვრული სრულყოფით. საგანგებო კვლევას მოითხოვს საგალობლების რიტმულ - მელოდიური საზომებიც.

საგალობლებში ხშირია სხვადასხვა სახის ბიბლიური დამოწმებები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის უდიდესი პატივი, რომლითაც საგალობლის ავტორი - საქართველოს ეკლესიის კანონმდებელი - გიორგი მთაწმიდელი მოიხსენიებს წმ. იოდასაფს.

მეთოდი. ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები.

შედეგები. გიორგი მთაწმიდელის „ჰინდოთა მეფე იოდასაფისადმი“ მიძღვნილი საგალობლების შესწავლამ ცხადყო ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ წმინდანისადმი. როგორც ირკვევა, ავტორი კარგად იცნობს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ საგალობლების შესწავლისას გამოიკვეთა თეოლოგიური, მხატვრული, რიტმულ - მელოდიური, ტერმინოლოგიური ასპექტები.

მსჯელობა. გიორგი მთაწმიდელი (1009-1065) საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიების მიერ წმინდანად შერაცხილი მოღვაწე, ათონისა და შავი მთის საღვთისმეტყველო და სალიტერატურო სკოლების ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია. იგი ზედმიწევნით იცნობდა ბიზანტიურ და ქართულ სასულიერო მწერლობას. მისი ეპოქალური მოღვაწეობის ძირითადი პრინციპი იყო ქართული თარგმანების დაახლოება ბერძნულ ორიგინალებთან.

გიორგი მთაწმიდელის „თუალშეუდგამი“ ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და ქართული კულტურის წინაშე ძირითადად მიერ თარგმნილ-რედაქტირებული მრავალრიცხოვანი კრებულებით წარმოგვიდგება. ამ კრებულებში, ბერძნულიდან თარგმნილ რეპერტუართან ერთად, მას შეჰქონდა ქართველ ავტორთა საგალობლებიც.

ორიგინალური საგალობლები გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში იშვიათად გვხვდება. Ath-45 ხელნაწერში, რომელიც მის ავტოგრაფულ „პარაკლიტონს“ წარმოადგენს, ის გვამცნობს: „და იმჟთანი არიან ქართულისაგან და რომელნი არიან და ჩვენ აღგვწერიან, ფრიად კეთილ არიან და საწადელ“ (Ath - 45, 102v).

გიორგი მთაწმიდელის უნიკალურ მემკვიდრეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მის მიერ შედგენილ „თუენს“ ანუ „სათუეს“, როგორც თავად უწოდებს. ამ კრებულის შესახებ აკად. ვ. კეკელიძე წერს: „ეს კაპიტალური შრომაა, რომელიც საყურადღებო რამეს წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში, ვინაიდან ამის მსგავსი სასრულით თთუენი ბერძნულ ენაზედაც კი არ არსებობდა“ (კეკელიძე, 1980: 226).

გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ „მასის თუენში“ (H -1710), ბერძნულიდან თარგმნილ მრავალრიცხოვან საგალობლებთან ერთად, შესულია ორიგინალური საგალობლებიც. ორი მათგანი ეძღვნება ეფთვიმე მთაწმიდელს, ერთი კი - „ჰინდოთა მეფე იოდასაფს“. ეფთვიმესადმი მიძღვნილი ერთ-ერთი საგალობლის ავტორია XI საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწე - ბასილი ბაგრატის ძე, რომელიც მოხსენიებულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“: „რომელი-იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ“ (ძეგლები, 1967: 116). ეფთვიმესადმი მიძღვნილი მეორე საგალობლის ავტორი კი თავად გიორგი მთაწმიდელია.

ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი საგალობლები დადებულია მისი გარდაცვალებისა და ხსენების დღეს - 13 მაისს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ ამ კრებულში დაცული სამი ორიგინალური საგალობლიდან ორი ეფთვიმე ათონელს ეძღვნება, მესამე კი - „ჰინდოთა მეფე იოდასაფს“.

ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილ საგალობლებს წინ უძღვის შემდეგი სათაური: „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთვიმე მთაწმიდელისა, ახალი ოქროპირისაჲ, რომელმან განანათონა ქართველნი თარგმანებითა წიგნთა კეთილთაჲთა“.

ეფთვიმეს ხსენებას ეძღვნება საგალობელთა ჯგუფი, რომელთა ავტორია გიორგი მთაწმიდელი. ესაა სრული ჰიმნოგრაფიული განგება: ორი მცირე ფორმის საგალობელი, წარდგომა და ჰიმნოგრაფიული კანონი. შემდეგ მოდის ბასილი ბაგრატის ძის ასევე ორი მცირე ფორმის საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი.

19 მაისს კი ხელნაწერში დადებულის ხსენება „წმიდისა იოდასაფ ჰინდოთა მეფისა“ (H -1710, 109v). წმ. იოდასაფს აქაც მთელი ჰიმნოგრაფიული განგება ეძღვნება - სამი მცირე ფორმის საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი. საგალობლის გასწვრივ კიდევ მიწერილია „გიორგი“ (გ~ი).

იოდასაფ ინდოელისადმი მიძღვნილი ეს საგალობლები გამოაქვეყნა და შეისწავლა აკად. ელ. მეტრეველმა (მეტრეველი, 1952: 183-217). მისი დასკვნით, იოდასაფისადმი მიძღვნილი ამ საგალობლების ავტორია გიორგი მთაწმიდელი. მეცნიერის მიერ ჩატარებულმა მრავალმხრივმა კვლევამ ცხადყო, რომ „ქართული ეკლესია უფრო ადრე აღიარებს იოდასაფს წმინდანად, ვიდრე საყოველთაო მართლმადიდებლური ეკლესია“, მათ შორის ბერძნული (მეტრეველი, 1952: 203).

ეს გარემოება კიდევ ერთი დასტურია „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის წინადროინდელ ქართულ ტრადიციასთან უტყუარი კავშირისა.

წარმოვადგენთ ჩვენს დაკვირვებებს ამ საინტერესო საგალობლის შესახებ:

ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში ხშირია შემთხვევა, როცა ჰიმნოგრაფები მთელ ჰიმნოგრაფიულ განგებას უძღვნიან ამა თუ იმ წმინდანს ან დღესასწაულს (მაგ., იოანე მტბევარი, იოანე მინჩხი). ასეა ამ შემთხვევაშიც.

იოდასაფ ინდოელისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული განგება იწყება სამი მცირე ფორმის საგალობლით: „სანთელი ხარ შენ მნთებარე...“, „სულისაგან ყოლად წმიდისა აღვსებულმან...“ და „ფართოდა მისგან გზისა...“.

სამივე მათგანი IV გვერდით ხმაზეა დადებული (ჰმაჲ დ გუერდი). ძლისპირები კი განსხვავებულია. პირველი მათგანის ძლისპირია „არა დაა[კლდი]“, მეორის - „სასწაულნი“, მესამის - „მოვედითნი“.

ამის შემდეგ იწყება ჰიმნოგრაფიული კანონი: „უგალობდითსა....რომელმან. უგალობდეთ უფალსა, რომელმან ადიდა საქსენებელი იოდასაფ ღირსისაჲ ...“

კანონი რვა ოდისაგან შედგება, არ შეიცავს II ოდას - “მოიხილესა“. კანონის ოდები მოკლეა, ჩვეულებრივ, 2 ან 3 ტროპარისგან შედგება. კანონის ოდებთან მითითებულია შემდეგი ძლისპირები:

უგალობდითსა	რომელმან
განძლიერდასა	არაღვინ არს წმიდაჲ
უფ. მესმასა	მესმა [უფალო, განგებაჲ]
ღამითგანსა	რომელმან ღამისაგან
ღალადყავსა	მომიტ[ევენ, სახიერ]
კურთხეულარსა	ყრმათა ღმრთ[ისმსახურთა]
აკურთხევდითსა	მთასა ზედა
ადიდებდითსა	შენ, რომელი უქ[ორწინებელ ხარ]

ეს ძლისპირები, აკოლუთის სახით, შესულია ძლისპირთა III რედაქციაში IV გვერდით ხმაზე (ნევიმრებული ძლისპირნი, 1982: 697-809). ძლისპირთა ამ აკოლუთის დასაწყისთან მითითებულია ტერმინი „უცხონი“.

ჩნდება კითხვა - რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი „უცხონი“. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა დღეისათვის შეუძლებელია, რადგან მრავალფეროვანი ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია მხოლოდ ნაწილობრივია შესწავლილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. პ.ინგოროყვამ „მიქაელ მოდრეკილის იადგარში“ ყურადღება მიაქცია გამოთქმას - „სპადუქნი უცხონი“. „სპადუქნად“ ის მიიჩნევს ისეთ საგალობლებს, რომლებსაც 5 რიტმული საზომი და 9 მუსიკალური კომპოზიცია აქვთ (ინგოროყვა, 1965: 134). ამ სალექსო საზომის შემომღებად ის იოანე მინჩხს თვლის (ინგოროყვა, 1965: 131). მას მითითებული აქვს ის გარემოება, რომ ქართულ ხელნაწერებში ტერმინები „სპადუქნი“ და „მორთულნი“ ერთმანეთის მონაცვლედ იხმარება (ინგოროყვა, 1965: 130-131).

„მიქაელ მოდრეკილის იადგარში“ ერთ-ერთ საადღგომო საგალობელთან გვხვდება შემდეგი განმატება: „სპადუქნი უცხონი...მსგავსი მსგავსებითა და თვთოეული განთვსებითა, ქართულნი“ (აღწერილობა, 1959: 561). პ. ინგოროყვას აზრით: „რაკი ეს საგალობელი „ქართულნი“ ყოფილა, ცხადია, „უცხონი“ აქ ნიშნავს არა გარემეს (უცხოს), არამედ იმასვე, რასაც „მორთული“, „მოკაზმული“, „საუცხოო“ (ძვ. ქართულად - „უცხო“)“ (ინგოროყვა, 1965: 137).

პ. ინგოროყვა ასევე განიხილავს ტერმინს „მერჩულიულნი უცხონი“. მისი განმარტებით: „ასე ეწოდებოდა ძველ-ქართულ პოეზიაში ალიტერაციით გაწყობილ ლექსებს. ალიტერაციის დამამკვიდრებელი ქართულ პოეზიაში გიორგი მერჩულე ყოფილა და აქედან მიუღია ალიტერაციულ წყობას ეს სახელწოდება - „მერჩულიულნი უცხონი“ (ინგოროყვა, 1965: 326).

ამ ტერმინს ეხება აკად. ელ. მეტრეველიც: „ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში უცხო, ჩვეულებრივ, ახლის, სხვის მნიშვნელობით იხმარება. ხომ არ მიუთითებს ეს ტერმინი ძლისპირთა ამ ფენის სიახლეზე ძველ ფენასთან შედარებით?“ (მეტრეველი, 1971: 073). აქვე მითითებულია ის გარემოება, რომ „უცხონი“ და „მორთულნი“ ერთმანეთის მონაცვლედ გვხვდება, „მორთულნი კი ძველ ქართულში ნიშნავდა შეწყობილს, მიმსგავსებულს, აწყობილს რაიმეს მიხედვით...ჰიმნოგრაფიულ ტექსტებზე გადატანილი „მორთული“ უნდა იყოს იგივე, რაც პროსოძია (πρῶσιον) ე.ი. იდიომელის რიტმსა და კილოზე შედგენილი გალობანი თუ სტიქარონი; ხოლო ძლისპირებში პროსოძია იგივე „ειρμὸς ἄλλοις-ია“ (მეტრეველი, 1971: 073-074).

იოდასაფისადმი მიძღვნილ ამ საგალობლებში ხშირადაა სხვადასხვა სახის დამოწმებები ძველი და ახალი აღთქმიდან. პირველივე მცირე ფორმის საგალობელი იწყება შემდეგი სიტყვებით:

„სანთელი ხარ შენ მნთებარე სასანთლესა ზედა სადმრთოსა, ამისთვსცა ვერ დაგფარა ბნელმან მან წყუდიდმან კერპთმსახურთა სიცბილისამან, არამედ უფრომს ელვისა განჰნათლდი ნათლითა წმიდისა სამებისათა და განიოტე ბნელი, იოდასაფ, და განანათლე ქუეყანად“.

საგალობლის ამ ტროპარის სახისმეტყველება აგებულია სახარების ცნობილ შეგონებაზე:

„არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ჯვმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა.“

ეგრეთ ბრწინევიდნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილონ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენს ზეცათასა“ (მათე, 15-16).

სახარებისეულ სწავლებას ეფუძნება მეორე მცირე ფორმის საგალობლის შემდეგი სიტყვებიც:

„ხვდოდე, ნეტარო, გზათა მათ უფლისა მცნებათასა და ექმენ ქურვითა და ობოლთა და გლახაკთა და და უღონოთა შემწე და კელისმპყრობელ და მწყალობელ და მოშურნე და მოლუაწე“.

ეს ტროპარი ყურადღებას იქცევს რიტმული თვალსაზრისით, რაც განპირობებულია „და“ კავშირის რიტმული გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმიდელისათვის, ჩვენი დაკვირვებით, ზოგადად, დამახასიათებელია რიტმულობის საოცარი შეგრძნება, რაც მის თარგმანებში ხშირად გამოვლენილი, ხან აშკარად, ხან კი ფარულად.

მესამე მცირე ფორმის საგალობელი იწყება შემდეგი სიტყვებით:

„ფართომსა მისგან გზისა, მიმავალისა წარწყმედად, სრულიად განიშორე თავი შენი, სანატრელო, და მიმყვანებელი ცხორებად გზად იწროდ შეიყუარე შენ“.

ამ სიტყვების წყაროა ცნობილი სწავლება:

„შევედით იწრომსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზად, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედად, და მრავალნი ვლენან მას ზედა.“

ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“. (მათე 7, 13-14).

იოდასაფ ინდოელისადმი მიძღვნილ ამ საგალობლებში განდიდებულია ბალავარიც. პირველივე მცირე ფორმის საგალობელში ვკითხულობთ:

„გაქუნდა შენ წინამძღურად ცხოველი და უძლეველი ძალი ჯუარისა და კაცისა მის ღმრთისა სწავლად ბრწყინვალე“.

სხვაგან კი პირდაპირაა დასახელებული და განდიდებული ბალავარი:

„მყის განაგდო ყოველი კაცობრივი შიში და ზარი სიკუდილისა, და ვითარცა მკედარი ახოვანი, მოვიდა და აღგავსო შენ ძალითა და სიბრძნითა საღმრთოთა“.

ამ საგალობლებში იოდასაფი შედარებულია იოანე ნათლისმცემელთან და ელია წინასწარმეტყველთან:

„ფრთითა საღმრთოსა ტრედისადათა აღჰფრინდი და მისწრაფე უდაბნოს და მოელოდე მაცხოვარებასა ღმრთისასა და მიემსგავსე იოვანეს და ელიას“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის უდიდესი პატივი, რომლითაც საგალობლის ავტორი - საქართველოს ეკლესიის კანონმდებელი - გიორგი მთაწმიდელი მოიხსენიებს წმ. იოდასაფს:

„მწყობრსა მოციქულთასა შეერთებულ ხარ შენ, ღირსო, ღმრთივდიდებულო მეუფეო, რამეთუ შენცა ილუაწე მსგავსად მათისა და ჰქადაგე სახარებად მშვედობისა“.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელის ამ საგალობლებში იოდასაფ ინდოელი უდიდეს ღვთივსულიერ მამებთან და თვით მოციქულებთანაა შედარებული. საეკლესიო ტრადიციაში მეცამეტე მოციქულად პავლე მოციქული მოიხსენიება. ამ საგალობელში „მწყობრსა მოციქულთასა შეერთებულად“ წმ. იოდასაფია დასახული.

საინტერესოა, რომ ამავე კრებულში დაცულ ბასილი ბაგრატის ძის საგალობელში ასეთივე პატივითაა შემკული ეფთვიმე ათონელი:

[ღმერთმან] „გყო შენ მეათცამეტედ მოციქულად“ (მეტრეველი, 1952: 211).

ამრიგად, ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რომელშიც, ფაქტობრივად, ქართული ღვთისმეტყველებაა გადმოცემული, ეფთვიმე ათონელი „მეცამეტე მოციქულად“, „იოდასაფ ჰინდოთა მეფე“ კი „მწყობრსა მოციქულთასა შეერთებულად“ მოიხსენიებიან.

დასკვნა. „ჰინდოთა მეფე იოდასაფისადმი“ გორგი მთაწმიდელს მიუძღვნია ჰიმნოგრაფიული განგება - 3 მცირე ფორმის საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი. ამ საგალობლების შესწავლამ ცხადყო მათი მრავალმხრივი მნიშვნელობა.

საგალობლები ემყარება ბიბლიურ წყაროებს. კვლევამ ნათელყო, რომ მათი რიტმულ-მელოდიური საზომები „ნევმირებულ ძლისპირთა კრებულში“ შესულია

ტერმინით „უცხონი“. ამ საგალობლებში იოდასაფი შედარებულია იოანე ნათლისმცემელთან, დავით და ელია წინასწარმეტყველებთან.

გიორგი მთაწმიდელის ამ საგალობლებში იოდასაფი ინდოელი თვით მოციქულებთანაა შედარებული. საეკლესიო ტრადიციაში მეცამეტე მოციქულად პავლე მოციქული მოიხსენიება. ამ საგალობელში „მწყობრსა მოციქულთასა შეერთებულად“ წმ. იოდასაფია დასახული.

იოდასაფი ინდოელისადმი მიძღვნილ ამ საგალობლებში განდიდებულია ბალავარიც.

გიორგი მთაწმიდელის ეს საგალობლები მოწმობს იმ განსაკუთრებულ ყურადღებას, რასაც გიორგი მთაწმიდელი და ზოგადად, საქართველოს სამოციქულო ეკლესია იჩენს ამ წმინდანის მიმართ. ეს საგალობლები ყურადღებას იმსახურებს „ვარლაამისა და იოასაფის“ ბერძნული ვერსიის კვლევისათვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

აღწერილობა. (1959). ე. მეტრეველის რედაქციით. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ინგოროვა, პ. (1965). *თხზულებანი*. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კეკელიძე, კ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. I. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მეტრეველი, ე. (1971). *ძღისპირნი და ღმრთისმშობლისანი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მეტრეველი, ე. (1952). *ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა.

ნევმირებული ძღისპირნი. (1982). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ძეგლები. II. (1967). ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

Ath-45

H - 1710

REFERENCES

aghts'eriloba [Description]. (1959). Ed. E. Metreveli. Tbilisi: Publishing House of Georgian Academy of Sciences.

ingoroqva, p'. (1965). *tkhzulebani [Works]*. III. Tbilisi: Publishing House „Sabchota sakartvelo“.

k'ek'elidze, k'. (1980). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria [The History of Old Georgian Literature]*. I. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

met'reveli, e. (1971). *dzlisp'irni da ghmrtismshoblisani [Hirmoi and Theotokia]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

met'reveli, e. (1952). *kartuli originaluri himnografiis ist'oriisatvis XI sauk'uneshi [From the History of Original Georgian Hymnography in the XI Century]*. Tbilisi: Publishing House of Tbilisi State Pedagogical Institute.

nevmirebuli dzlisp'irni [Irmologion with Neumes]. (1982). Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

dzeglebi [Monuments]. II. (1967). Ed. I. Abuladze. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

Ath-45

H – 1710